www.ni4os.eu

EUROPEAN OPEN SCIENCE CLOUD

ევროპის
ღია მეცნიერების Cloud EOSC

NI4OS Europe

NI4OS-Europe

National Initiatives for Open Science in Europe

ევროპის ღია მეცნიერების CLOUD

ევროპის ღია მეცნიერების Cloud-ის (EOSC) შექმნის იდეას საფუძველი ჩაეყარა 2015 წელს, როგორც ევროკომისიის ხედვას, დიდი ინფრასტრუქტურის შესახებ, ღია მეცნიერებისა და ღია ინოვაციების მხარდასაჭერად და განვითარებისათვის ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ.
დაგეგმილია, რომ "EOSC" 2020 წელს გახდება რეალობა და ის იქნება ევროპის ვირტუალური გარემო ყველა მკვლევარისათვის, სადაც შეინახავენ, მართავენ, გააანალიზებენ და გამოიყენებენ მონაცემებს კვლევისათვის, ინოვაციისათვის და საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
"EOSC" არის პროექტი.

"EOSC"-ის სტრატეგიული განხორციელების გეგმის თანახმად, "EOSC"-ის კომპონენტებია საჭირო ნდობის ჩამოყალიბება ფართო მასშტაბურ კვლევით საზოგადოებას შორის, შესაბამისად აუცილებელია "EOSC"-ის პრინციპების დაცვა და მისი განხორციელების მართვა.

მმართველობის სტრუქტურა

“EOSC”-ის მმართველი საბჭო

ყველა 28 წევრ ქვეყანას და 10 ასოცირებულ
ქვეყანას ჰყავს დელეგატი, იმისათვის რომ:

- დაამტკიცონ აღმასრულებელი საბჭოს წევრთა სია;
- გადაწყვიტონ “EOSC”- ის სტრატეგიული მიმართულებები (აღმასრულებელი საბჭოს რჩევის საფუძველზე) და დაამტკიცონ წლიური სამუშაო გეგმა;
- შეაფასონ ”EOSC”- ის განხორციელების შედეგები;
- უზრუნველყონ კოორდინაცია შესაბამის წევრ სახელმწიფოებთან კომისიის ინიციატივით;
- ”EOSC”- ის მხარდასაჭერად განიხილონ ახალი აქტივობები, მისი გრძელვადიანი მდგრადობის ჩათვლით;

"EOSC"-ის აღმასრულებელი საბჭო

პან-ევროპული სამეცნიერო ელექტრონული ინფრასტრუქტურის
8 წარმომადგენელი და 3 ინდივიდუალური ექსპერტი, რომლებიც ევროკომისიამ წარადგინა, რომ:

- მისცენ რჩევები და მხარდაჭერა გამოუცხადონ ”EOSC”- ის სტრატეგიას, განხორციელებას, მონიტორინგს და ანგარიშგებას ”EOSC”- ის განხორციელების მიმდინარეობის პროგრესის შესახებ, როგორც ეს მოცემულია პერსონალის სამუშაო დოკუმენტაციაში
  ”EOSC”- ის განხორციელების ”Roadmap”-ში, განსაკუთრებით კი ამ ფორმით:
  - სტრატეგიული განხორციელების გეგმა და წლიური სამუშაო გეგმები და შემოთავაზებული მექანიზმი სტრატეგიული და წლიური სამუშაო გეგმების შესრულების მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობისთვის, აგრეთვე მონიტორინგისა და ანგარიშის წარდგენის შესახებ;
  - მონაწილეობის მიღების წესების დაცვა, მომსახურების მიწოდების პროცედურების სამოქმედო გეგმის სამეცნიერო მონაცემების თავსებადობისათვის ”FAIR” პრინციპები ოპერატიზაციისათვის;
- შეთავაზონ რეკომენდაციები 2020 წლის შემდეგ ”EOSC”- ის მმართველობასთან დაკავშირებულ შესაბამის მექანიზმებსა და შესაძლო ფორმებთან დაკავშირებით, ბიზნეს მოდელების და დაფინანსების მეთოდების ჩათვლით. აგრეთვე, თუ როგორ შეიძლება ”EOSC”-ის მომხმარებელთა ბაზის გავრცელება საჯარო სექტორსა და ინდუსტრიაში.

“EOSC”-ის სამუშაო ჯგუფები

“EOSC”- ის მმართველობითი სტრუქტურის ოფიციალური ნაწილია 6 სამუშაო ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მიზანმიმართულ მიდგომას “EOSC”-ის მიმდინარე გამოწვევებთან დაკავშირებით.

„EOSC“-ის მომავალი

„EOSC“ მმართველობა-ასოციაცია

„EOSC“ პარტნიორობა საშუალებას მისცემს ევროპაში სანდო, ვირტუალურ, ფედერაციულ გარემოს შეინახოს, გააზიაროს და გამოიყენოს კვლევის მონაცემები საზღვრებს გარეთ და სამეცნიერო დისციპლინებში. იგი გააერთიანებს ინსტიტუციონალურ, ეროვნულ და ევროპულ ინიციატივებს და ჩართავს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს, რათა შეიმუშაონ და განავითარონ ევროპული კვლევის მონაცემთა საზოგადოება, სადაც მონაცემები იქნება პოვნადი, ხელმისაწვდომი, თავსებადი და მრავალჯერადი გამოყენების (FAIR). ეს ევროპული კონტრიბუცია "FAIR" მონაცემთა ქსელში და მასთან დაკავშირებულ მეცნიერულ სერვისებში, ხელს შეუწყობს მკვლევარებს პუბლიკაციების, მონაცემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის პოვნაში, გაზიარებასა და ხელახალ გამოყენებაში, რაც წარმოქმნის ახალ შეხედულებებსა და ინოვაციებს, მიღწეული იქნება კვლევის მაღალი პროდუქტიულობა.



EOSC European Partnership Proposal (Draft), 28 May 2020

- პარტნიორობა იმოქმედებს "EOSC“ ასოციაციის (AISBL) მეშვეობით, რომელიც ბელგიაში მდებარეობს, დეცენტრალიზაციის, გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპების შესაბამისად.

- ძირითადი ამოცანები: კოორდინაცია და შესაბამისობა (SRIA), მონიტორინგი და ანგარიშგება, "EOSC" ტექნიკური მხარდაჭერა, "FAIR" ტრენინგი, კომუნიკაცია.

- ასოციაცია არსებით რესურსებს მიიღებს საწევრო გადასახადების მეშვეობით. „SRIA“- ს საქმიანობების მიხედვით ჩატარებული აქტივობები დაფინანსდება ევროკომისიის მიერ, ევროპულ დონეზე, ხოლო ასოციაციის წევრების მიერ ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დონეზე.

სპეციალურ ტერმინტა ლექსიკონი

"EOSC" პორტალი

"EOSC" სერვისი, ვებ – პორტალი რომელიც ამარტივებს "EOSC" რესურსების წვდომასა და გამოყენებას.

"EOSC" პორტალის კატალოგი

პლატფორმა, რომელიც მარტივი წვდომის საშუალებას იძლევა მრავალ სერვისსა თუ რესურსზე სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით, ინტეგრირებული მონაცემთა ანალიზის საშუალებებთან.

"EOSC" სერვისის განმარტება

"EOSC" სერვისების მიწოდება ხორციელდება "EOSC" სერვისის მიმწოდებელის მიერ "EOSC" -ში მონაწილეობის წესების შესაბამისად. სერვისების დამტკიცება ხდება "EOSC" მომსახურების პორტფოლიოს მართვის კომიტეტის მიერ და ასახულია "EOSC" სერვისების კატალოგში.

"EOSC" სერვისის კატალოგი

ყველა არსებული "EOSC" სერვისის სია, რომელთა მოთხოვნა შეუძლიათ "EOSC" სისტემის მომხმარებლებს.

"EOSC" სერვისის პორტფოლიო

"EOSC" სერვისების შიდა ჩამონათვალი, მათ შორის, მოსამზადებელ ეტაპზე მყოფი, არსებული და შეწყვეტილი. ამ ჩამონათვალის განვითარებას აკონტროლებს "EOSC"-ის სერვისების პორტფოლიოს მართვის კომიტეტი.

"EOSC" სერვისის მიმწოდებელი

"EOSC"-ის სისტემის მენეჯერი, რომელიც მართავს და აწვდის "EOSC" სერვისს.

მესამე მხარის სერვისის მიწოდება

"EOSC"-ის საბოლოო მომხმარებელი, რომელსაც სურს შეიმუშაოს და მართოს სერვისი და დაეყრდნოს ერთ ან რამდენიმე "EOSC" სერვისს.

"EOSC" მონაწილეობის წესები

"EOSC"– ის მმართველობითი მხარის მიერ განსაზღვრული პრინციპები, რომელიც ხელს უწყობს "EOSC"-ის სისტემის მომხმარებლის (და მისი ნებისმიერი სპეციალობის) როლის შესრულებას.

ხელშეკრულების საფუძვლები

დოკუმენტირებული ხელშეკრულება "EOSC" სერვისის მიმწოდებელსა და მიმღებს შორის, რომელშიც მითითებულია "EOSC" მომსახურების კომპონენტი(ები) და მახასიათებლები, რომელიც უნდა მიეწოდოს "EOSC" მიმწოდებელის მხრიდან.

რესურსები

- Official European Commission documents and steps towards the creation of EOSC: https://ec.europa.eu/research/openscience/index.cfm?pg=open-science-cloud
- EOSC strategic implementation plan: https://ec.europa.eu/info/publications/european-open-science-cloud-eosc-strategic-implementation-plan_en
- EOSC Portal: https://eosc-portal.eu/
- Factsheet, Open science: https://ec.europa.eu/info/files/open-science_en
- EOSC Glossary: https://www.eosc-portal.eu/glossary
- EOSC Declaration: https://ec.europa.eu/research/openscience/pdf/eosc_declaration.pdf#view=fit&pagemode=none
- EOSC Action List: https://ec.europa.eu/research/openscience/pdf/eosc_declaration-action_list.pdf#view=fit&pagemode=none

NI4OS Europe

www.ni4os.eu

NI4OS-Europe has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement no. 857645